შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საგანგებო სიტუაციების, კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის

უფროსს ბატონ ზურაბ უტიაშვილს

ამავე დეპარტამენტის შტატგარეშე მუშაკის

სამინისტროს წარმომადგენლის მესტიის რაიონში

ზამირ რატიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ მესტიის რაიონში მოსახლეობის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, რომ მოსახლეობას ადგილზე, რაიონის სამედიცინო დაწესებულებაში ჰქონდეს სამედიცინო სერვისის მიწოდების საშუალება. რაიონული საავადმყოფოს ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე ამის საშუალება გაგვაჩნია. ძირითად პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო კადრების, კერძოდ კი ექიმი სპეციალისტების არ არსებობა და ნაკლებობა, რაც გამოწვეულია დაბალი სახელფასო განაკვეთებით. რაიონში მუშაობის სურვილი არავინ გამოთქვა. ფაქტობრივად, რაიონში ფუნქციონირებს ერთი სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ქ.ზუგდიდიდან დაშორებული არის 170 კმ-ის მანძილზე. მოსახლეობას უჭირს გადაადგილება და გამოთქვამენ პრეტენზიებს. აუცილებლობად მიაჩნიათ, ადგილზე მიიღონ როგორც ამბულატორიული, ისე სტაციონალური დახმარება.

სპეც. დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში პირველ რიგში აუცილებელია მოვიწვიოთ შემდეგი სპეციალისტები:

1. ექიმი--ქირურგი 2 საშტატო ერთეული
2. ექიმი--კარდიოლოგი 1 საშტატო ერთეული
3. ექიმი--ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი 2 საშტატო ერთეული
4. ექიმი--მეან-გინეკოლოგი 1 საშტატო ერთეული (სასურველია ქალბატონი)
5. ექიმი--ექოსკოპისტი 1 საშტატო ერთეული
6. ექიმი--პედიატრი-ნეონატოლოგი 1 საშტატო ერთეული

ექიმი-კონსულტანტები:

1. ექიმი--ტრავმატოლოგი
2. ექიმი--ეპიდემიოლოგი

3. ექიმი--რენტგენოლოგი
4. ექიმი--ოტოლარინგოლოგი
5. ექიმი--ოფთალმოლოგი
6. ექიმი--ფსიქონევროლოგი

გაგაცნობთ დღევანდე მდგომარეობას.

ამჟამად დაწესებულებას ემსახურება 1 უფროსი ექიმი ქირურგი და 1 უმცროსი ექიმი ქირურგი. რაიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია მოვიწვიოთ ორი ადგილობრივი სერთიფიცირებული ქირურგი, რომლებიც თანახმა არიან ფიქსირებული 1000 ლარისა და დამატებით გამომუშავებული თანხის ანაზღაურების შემთხვევაში იმუშაონ რაიონში. ორივე მაღალი კვალიფიკაციის ქირურგები არიან. საყოველთაო დაზღვევის პირობებში მოსახლეობის დაახლოებით 9000 მაცხოვრებელი, რომლევიც სადაზღვევო კომპანია ,,აისი" ჯგუფიდან გამოთავისუფლებულბენეფიციარებს წარმოადგენენ ქირურგიული დახმარებას აუცილებლობად მიიჩნევენ ადგილზე, რისი საშუალებაც მესტიის საავადმყოფოს ექნება. ამით ქირურგიული სამსახურის პრობლემა რაიონში მოხსნილი იქნება. ამჟამად კეთდება აპენდექტომია, თიაქარკვეთა და სხვა გადაუდებელი ოპერაციები, მაგრამ რაიონი, ფაქტობრივად, არის 1 ქირურგის იმედზე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ არის დამაკმაყოფილებელი.

რაიონს არ ჰყოლია და არ ჰყავს ექიმი კარდიოლოგი. აუცილებელია შესაბამისი ანაზღაურების გამოყოფა, რომ მოვიწვიოთ სპეციალისტი. დაწესებულების ექიმი თერაპევტი ხდება იძულებული გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს კარდიოლოგიურ ავადმყოფს. ოფიციალურად კარდიოლოგიური ავადმყოფის გატარების საშუალება არ გვაქვს და მოსახლეობა ვერ ღებულობს საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებულ მომსახურებას.

დაწესებულებაში მუშაობს ერთი ექიმი ანესთეზიოლოგი, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ არ გააჩნია რეანიმაციული ავადმყოფების გატარების კვალიფიკაცია, ამიტომ იძულებული ვართ ასეთი ავადმყოფები კატასტროფის ბრიგადის საშუალებით გადავაგზავნოთ რაიონის ფარგლებს გარეთ, რაც ზამთრის პირობებში განსაკუთრებით დიდ სირთულეებთან და დიდ დროსთანაა დაკავშირებული. ზამთრის პერიოდში სპეციალურ ორხიდიან ავტომანქანასაც კი თბილისიდან 10-12 საათი უნდა ჩამოსასვლელად. დასავლეთის კატასტროფის სამსახურის ავტომანქანები მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ ამოდიან. ყოველივე ეს ქმნის დიდ პრობლემებს, როგორც ავადმყოფის მდგომარეობის გართულებასთან დაკავშირებით, ისე მოსახლეობის მხრიდან. რაიონი არის ექიმი რეანიმატოლოგის გარეშე. აუცილებელია 2 ექიმი რეანიმატოლოგის, კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი. უნდა გამოიძებნოს შესაბამისი ანაზღაურება, ვინაიდან მათი დაფინანსება ქირურგებთან შედარებით მაღალ ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული (სავარაუდოდ 1500-2000 ლარი).

რაიონს ემსახურება ერთი მეან-გინეკოლოგი, რომელიც 10 წელიწადია მარტო მუშაობს, ვინაიდან არ ჰყავს შემცვლელი და გამოთქვამს პრეტენზიას, რომ არ უსარგებლია შვებულებით, ესაჭიროება სამკურნალოდ წასვლა და ვერ მიდის. გასული 2013 წლის განმავლობაში სულ მესტიის რაიონში 180 მშობიარობა დაფიქსირდა, აქედან 65 ჩვენს დაწესებულებში. უხდებათ ძირითადად გადინება რაიონიდან, ადგილზე ღებულობენ

მხოლოდ გადაუდებელ მომსახურებას. გარკვეულ რისკს თავს არიდებს მეან-გინეკოლოგიც, რომელიც ადგილობრივია, სვანია, მამაკაცია და ითვალისწინებს სვანურ ადათ-წესებს. სვან მანდილოსნებს უჭირთ მამაკაც გინეკოლოგთან მისვლა. ამიტომ აუცილებელია ერთი მეან-გინეკოლოგის დამატება. მოვიძიეთ 3 პიროვნება, რომლებიც ფიქსირებული 1000 ლარის ფარგლებში იმუშავებენ მესტიაში.

ამჟამად დაწესებულებაში მუშაობს ერთი სერთიფიცირებული პედიატრი, მხოლოდ პოლიკლინიკურ ნაწილში. დიდი დატვირთვიდან გამომდინარე უარი განაცხადა და ვერ მუშაობს სტაციონარში. ასევე არ გვყავს სერთიფიცირებული ექიმი ნეონატოლოგი. ფაქტობრივად, ახლადდაბადებულ ბავშვს შესაბამის დახმარებას უწევს სხვა პროფილის ექიმი. აუცილებელია თანხის გამოყოფა, რათა მოვიძიოთ შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი პედიატრ-ნეონატოლოგი.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ახალი 2012 წელს გამოშვებული თანამედროვე ექოსკოპიის აპარატი, სათანადოდ აღჭურვილი ექოსკოპიის კაბინეტი, მაგრამ არ გვყავს ექიმი რადიოლოგ-ექოსკოპისტი. აუცილებელია აღნიშნული სპეციალისტის მოწვევაც, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასევე გვაქვს შესანიშნავი ციფრული, თანამედროვე რენტგენის აპარატი, მაგრამ არ გვყავს ექიმი რენტგენოლოგი.

ბატონო ზურაბ, სპეც. დაფინანსების გაზრდის შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ექიმი კონსულტანტები: ტრავმატოლოგი, რენტგენოლოგი, ოტოლარონგოლოგი, ოფთალმოლოგი, ფსიქონევროლოგი ფიქსირებული 500 ლარის ხელფასით და დამატებით გამომუშავებული თანხით.

აღნიშნული სპეციალისტებით დაკმაყოფილების შემთხვევაში მესტიის რაიონის სამედიცინოსამსახურში ყოველნაირი პრობლემა მოიხსნება.

პატივისცემით,

ზამირ რატიანი,

სამინისტროს წარმომადგენელი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში